

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №564

2021 წლის 1 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ტექნიკური რეგლამენტის – ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 ივლისის №383 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტის – ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 ივლისის №383 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/07/2018, 300160070.10.003.020699) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის:

1. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ატმოსფერულ ჰაერში ძირითადი მავნე ნივთიერებების კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვები ნორმების (ასევე სახეობებისა და ჩამონათვალის) დადგენა, რომელთა დაცვაც უზრუნველყოფს ადამიანის ჯანმრთელობასა და ბუნებრივ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებას ან/და შემცირებას;“.

2. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ზღვრულად დასაშვები ნორმები – ადამიანის ჯანმრთელობასა და ბუნებრივ გარემოზე მავნე ზეგავლენის თავიდან აცილების ან შემცირების მიზნით დადგენილი დონე, რომელიც მიღწეულ უნდა იქნეს დროის მოცემულ პერიოდში და შემდგომში არ უნდა აჭარბებდეს უკვე მიღწეულ დონეს;“;

ბ) „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) ტოლერანტობის ზღვარი – ზღვრულად დასაშვები ნორმის პროცენტი, რომლითაც აღნიშნული ნორმა შესაძლებელია, გადაჭარბებულ იქნეს ამ ტექნიკურ რეგლამენტში მოცემული პირობების თანახმად;“;

გ) „ჟ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჟ) ძირითადი მავნე ნივთიერებები – გოგირდის დიოქსიდი, აზოტის დიოქსიდი, აზოტის ოქსიდები, მყარი ნაწილაკები, ტყვია, ბენზოლი, ნახშირბადის მონოქსიდი, ოზონი, დარიშხანი, კადმიუმი, ვერცხლისწყალი, ნიკელი, ბენზაპირენი, მანგანუმის დიოქსიდი;“;

დ) „ს“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ტ“ ქვეპუნქტი:

„ტ) შეტყობინების ზღვარი – დონე, რომლის ზემოთ არის მოსახლეობის განსაკუთრებით მგრძნობიარე ნაწილის ჯანმრთელობაზე მყისიერი ზემოქმედების საფრთხე, რომელსაც დაუყოვნებლივ უნდა მიეწოდოს შესაბამისი ინფორმაცია;“.

3. მე-4 მუხლის:

ა) სათაური და პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„მუხლი 4. ატმოსფერულ ჰაერში ძირითადი მავნე ნივთიერებების კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვები ნორმა და ტოლერანტობის ზღვარი

1. ატმოსფერულ ჰაერში ძირითადი მავნე ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები ნორმა, რომელიც განსაზღვრავს დროის გასაშუალოებულ პერიოდში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერების კონცენტრაციის მაქსიმალურ მნიშვნელობას ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხოების დასაცავად, განსაზღვრულია დანართ №1-ით.

2. ატმოსფერულ ჰაერში ძირითადი მავნე ნივთიერებების ტოლერანტობის ზღვარი არის ზღვრულად დასაშვები ნორმის პროცენტი, რომლითაც დანართ №1-ში მოცემული ნორმა შესაძლებელია, გადაჭარბებულ იქნეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ზღვრულად დასაშვები ნორმის დაცვა.“;

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. დანართ №1-ით განსაზღვრული ზღვრულად დასაშვები ნორმები უნდა გადამოწმდეს არანაკლებ 5 წელიწადში ერთხელ.“.

4. მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. ატმოსფერულ ჰაერში ძირითადი მავნე ნივთიერების დონის შეფასების ზღვრები

საქართველოს ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხის განსაზღვრა ხორციელდება ატმოსფერულ ჰაერში ძირითადი მავნე ნივთიერებების დონეების შეფასების ზღვრების საფუძველზე, რომელიც დადგენილია დანართ №2-ით.“.

5. მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ზოგიერთი მავნე ნივთიერებისთვის, რომელთა დონე ატმოსფერულ ჰაერში აჭარბებს ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართ №1-ით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ ნორმას, მაგრამ შესაბამისი ზომების მიღების შედეგად შესაძლებელია ამ ნორმაზე უკეთესი ხარისხის მიღწევა დროის მოცემულ პერიოდში, დგინდება მიზნობრივი მნიშვნელობა.“.

6. მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მიწისპირა ოზონის ზემოქმედებისგან მცენარეული საფარის დაცვის მიზნით დანართ №6-ით დგინდება ატმოსფერულ ჰაერში მიწისპირა ოზონის დონის ზღვრულად დასაშვები ნორმა და, საჭიროების შემთხვევაში, გრძელვადიანი მიზანი.“.

7. მე-9 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების კონცენტრაციების შესახებ ინფორმაცია, ასევე ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შესახებ წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს მონაცემებს ზღვრულად დასაშვები ნორმების, მიზნობრივი მნიშვნელობების, გრძელვადიანი მიზნების, განგაშის ზღვრებისა და შეტყობინების ზღვრების გადაჭარბების შესახებ, შესაბამისი გასაშუალოების პერიოდებისთვის. აღნიშნული მონაცემები, წლიური ანგარიშის შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს შეჯამებული სახით.“.

8. დანართი № 1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №1



მაგნე ნივთიერება	ზღვრულად დასაშვები ნორმა	ტოლერანტობის ზღვარი	გასაშუალოების პერიოდი	დასაშვები გადაჭარბების რაოდენობა წლის მანძილზე
გოგირდის დიოქსიდი (SO_2)	350 მკგ/მ ³	150 მკგ/მ ³ (43%)	1 სთ	24
	125 მკგ/მ ³		24 სთ	3
აზოტის დიოქსიდი (NO_2)	200 მკგ/მ ³	50% ⁽¹⁾	1 სთ	18
	40 მკგ/მ ³	50% ¹	1 წელი	0
მყარი ნაწილაკები (PM_{10})	50 მკგ/მ ³	50%	24 სთ	35
	40 მკგ/მ ³	20%	1 წელი	0
მყარი ნაწილაკები ($PM_{2.5}$)	25 მკგ/მ ³	20% ¹	1 წელი	0
ნახშირბადის მონოქსიდი (CO)	10 მგ/მ ³	60%	დღეში მაქსიმალური საშუალო 8 საათი ⁽²⁾	0
ბენზოლი (C_6H_6)	5 მკგ/მ ³	5 მკგ/მ ³ (100%) ¹	1 წელი	0
ოზონი (O_3)	120 მკგ/მ ³	100%	დღეში მაქსიმალური საშუალო 8 საათი ⁽²⁾	25 (3 წლის გასაშუალოების პერიოდში) ⁽³⁾
ტყვია (Pb)	0,5 მკგ/მ ³		1 წელი	0
დარიშხანი (As)	6 ნგ/მ ³		1 წელი	0
კადმიუმი (Cd)	5 ნგ/მ ³		1 წელი	0
ნიკელი (Ni)	20 ნგ/მ ³		1 წელი	0
ბენზ(ა)პირენი ($C_{20}H_{12}$)	1 ნგ/მ ³		1 წელი	0
მანგანუმის დიოქსიდი (MnO_2)	1 მკგ/მ ³		24 სთ	0

“ .

¹ ყოველი 12 თვის შემდეგ მცირდება თანაბარწილად 0%-მდე 2025 წლის 1 იანვრისთვის.

² მაქსიმალური დღიური რეგულაციური საშუალო კონცენტრაცია შეირჩევა მცოცავი რეგულაციური საშუალო მონაცემების ანალიზით. რეგულაციური საშუალო მონაცემი იანვარიდან საათური მონაცემების გასაშუალოების საფუძველზე და საათობრივად ახლდება. ასე გამოანგარიშებული თითოეული რეგულაციური საშუალო მონაცემი მიეკუთვნება იმ დღეს, რომელშიც ხდება გასაშუალოების პერიოდის ბოლო საათი. მაგალითად, პირველი გამოსათვლელი გასაშუალოების პერიოდი ნებისმიერი დღისთვის იქნება წინა დღის 17.00 სთ-დან ამ დღის 01.00 სთ-ის ჩათვლით, ხოლო დასკვნითი გამოსათვლელი გასაშუალოების პერიოდი ნებისმიერი დღისთვის იქნება ამ დღის 16.00 სთ-დან ამავე დღის 24.00 სთ-ის ჩათვლით.

³ თუ სამი წლის საშუალო მაჩვენებელი ვერ განისაზღვრება მთლიანი და თანმიმდევრული წლიური მონაცემების საფუძველზე, მინიმალური მონაცემები ზღვრულად დასაშვებ ნორმასთან შესაბამისობის დადგენის შემოწმების მიზნით იქნება ერთი წლის სანდო მონაცემები.

9. დანართი № 2 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №2



ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ატმოსფერულ ჰაერში ძირითადი მავნე ნივთიერების დონის შეფასების ქვედა და ზედა ზღვრები

მავნე ნივთიერება	შეფასების ზედა ზღვარი	შეფასების ქვედა ზღვარი	გასაშუალოების პერიოდი
გოგირდის დიოქსიდი (SO ₂)	ზღვრულად დასაშვები ნორმის 60% (75მკგ/მ ³)	ზღვრულად დასაშვები ნორმის 40% (50 მკგ/მ ³)	24 სთ
აზოტის დიოქსიდი (NO ₂)	ზღვრულად დასაშვები ნორმის 70% (140 მკგ/მ ³)	ზღვრულად დასაშვები ნორმის 50% (100 მკგ/მ ³)	1 სთ
	ზღვრულად დასაშვები ნორმის 80% (32მკგ/მ ³)	ზღვრულად დასაშვები ნორმის 65% (26 მკგ/მ ³)	1 წელი
მყარი ნაწილაკები (PM ₁₀)	ზღვრულად დასაშვები ნორმის 70% (35 მკგ/მ ³)	ზღვრულად დასაშვები ნორმის 50% (25 მკგ/მ ³)	24 სთ
	ზღვრულად დასაშვები ნორმის 70% (28 მკგ/მ ³)	ზღვრულად დასაშვები ნორმის 50% (20 მკგ/მ ³)	1 წელი
მყარი ნაწილაკები (PM _{2.5})	ზღვრულად დასაშვები ნორმის 70% (17 მკგ/მ ³)	ზღვრულად დასაშვები ნორმის 50% (12 მკგ/მ ³)	1 წელი
ნახშირბადის მონოქსიდი (CO)	ზღვრულად დასაშვები ნორმის 70% (7 მგ/მ ³)	ზღვრულად დასაშვები ნორმის 50% (5 მგ/მ ³)	8 სთ
ბენზოლი (C ₆ H ₆)	ზღვრულად დასაშვები ნორმის 70% (3,5 მკგ/მ ³)	ზღვრულად დასაშვები ნორმის 40% (2 მკგ/მ ³)	1 წელი
ტყვია (Pb)	ზღვრულად დასაშვები ნორმის 70% (0,35 მკგ/მ ³)	ზღვრულად დასაშვები ნორმის 50% (0,25 მკგ/მ ³)	1 წელი
დარიშხანი (As)	ზღვრულად დასაშვები ნორმის 60% (3,6 ნგ/მ ³)	ზღვრულად დასაშვები ნორმის 40% (2,4 ნგ/მ ³)	1 წელი
კადმიუმი (Cd)	ზღვრულად დასაშვები ნორმის 60% (3 ნგ/მ ³)	ზღვრულად დასაშვები ნორმის 40% (2 ნგ/მ ³)	1 წელი
ნიკელი (Ni)	ზღვრულად დასაშვები ნორმის 70% (14 ნგ/მ ³)	ზღვრულად დასაშვები ნორმის 50% (10 ნგ/მ ³)	1 წელი
ბენზ(ა)პირენი (C ₂₀ H ₁₂)	ზღვრულად დასაშვები ნორმის 60% (0,6 ნგ/მ ³)	ზღვრულად დასაშვები ნორმის 40% (0,4 ნგ/მ ³)	1 წელი
მანგანუმის დიოქსიდი (MnO ₂)	ზღვრულად დასაშვები ნორმის 70% (0,7 მკგ/მ ³)	ზღვრულად დასაშვები ნორმის 50% (0,5 მკგ/მ ³)	24 სთ

..

10. დანართი № 6 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №6

მცენარეული საფარისა და სხვა ეკოსისტემების დაცვის მიზნით ატმოსფერულ ჰაერში დადგენილი მიწისპირა ოზონის დონის ზღვრულად დასაშვები ნორმა და გრძელვადიანი მიზანი



მავნე ნივთიერება	ზღვრულად დასაშვები ნორმა	გრძელვადიანი მიზანი ⁹	გასაშუალოების პერიოდი	გადაჭარბების დასაშვები რაოდენობა წლის მანძილზე
ოზონი (O ₃)	18 000 (მკგ/მ ³)*სთ	6 000 (მკგ/მ ³)*სთ	მაისიდან ივლისის ჩათვლით	AOT40 (განგარიშებული 1-საათიანი მნიშვნელობიდან) (საშუალოდ 5 წლის განმავლობაში) ⁽¹⁰⁾

⁹ მიღწევის თარიღი არ არის განსაზღვრული.

¹⁰ თუ ხუთი წლის საშუალო მაჩვენებელი ვერ განისაზღვრება მთლიანი და თანმიმდევრული წლიური მონაცემების საფუძველზე, მინიმალური წლიური მონაცემები ზღვრულად დასაშვებ ნორმასთან შესაბამისობის დადგენის შემოწმების მიზნით იქნება სამი წლის სანდო მონაცემები.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

